პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1981 წელი · სამშაბათი 29 დეკემბერი № 298 (18240) ▢ ფასი 2 კაპ.

ბარტიული ბოზიციებიდან

ახალხო მეურნეობის ეფექტიანობის ამაღლების კურსი, რომელსაც ჩვენი პარტია ახორციელებს, ითვალისწინებს მისი ყველა დარგის მწყობრ, შეთანხმებულ მუშაობას, რეგიონებს შორის მტკიცე ეკონომიკური კავშირურთიერთობას. იმ ახალი დიდმასშტაბიანი ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად, რომლებიც ღრმად და ყოველმხრივ განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის ნოემბრის პლენუმმა, საჭიროა მთელი მეცადინეობა მოვახმარო მთავარ მიმართულებებს, საქმის მივუდგეთ შემოქმედებითად, პარტიული პოზიციებიდან შევაფასოთ მუშაობა ყველა უბანზე, ყველა რგოლში.

„საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესები, — აღნიშნა სკკპ XXVI ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა,—მუდამ უნდა იდგეს ადგილობრივ სამინისტროთა და საწარმოთა ინტერესებზე მაღლა“. ამბავმაც ძალზე მნიშვნელოვანია, რომ პარტიული ორგანიზაციები დღენიადაგ უნერგავდნენ ადამიანებს პასუხისმგებლობას საერთო საქმისათვის, განამტკიცებდნენ საგეგმო და სახელშეკრულებო დისციპლინას, პრინციპულად, მიზანსწრაფულად იბრძოდნენ კუთხური და უწყებრივი ეგოიზმის წინააღმდეგ.

შეიძლება მოვიყვანოთ აქტუალური სახალხო-სამეურნეო პრობლემების გადაჭრისადმი სწორედ ასეთი მიდგომის მრავალი ფაქტი. ბალეთად, ფრუნზეს მანქანათმშენებელთა ინიციატივით დღეს ორგანეთში ფართოდ გაიშალა შეჯიბრება დევიზით „მოძმე რესპუბლიკათა ყველა შეკვეთა — ვადაზე!“. შრომითი კოლექტივები ლიდერობენ უწინარეს ყოვლისა უზრუნველყონ მიწოდება ქვეყნის ეროვნულ ეკონომიკურ რაიონებში, შემდეგ კი დაკმაყოფილონ ადგილობრივი მოთხოვნილებანი. მნიშვნელოვანი გამოცდილების გავრცელებაში დიდ როლს ასრულებენ უირგიზეთის კომპარტიის სამხარეო და საქალაქო კომიტეტები. ლითონისა და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების დაზოგვისათვის მიზანსწრაფულ მუშაობას ეწევიან ურალისა და კუზბასის პარტიული ორგანიზაციები. რაც უფრო უკარგათანად იყენებენ ნედლეულს ამა თუ იმ უბანზე, მით უფრო მეტი გაიგზავნება იგი სხვა ადგილებში. უნდა აღინიშნოს ინიციატორული და ლენინგრადელი მშენებლების პატრიოტული ინიციატივა, რომლებმაც თავიანთ სამმართველოებში შრომის უკეთ ორგანიზაციის გზით დიდი რაზმები გაგზავნეს დასავლეთ ციმბირში ნავთობეულებისათვის ბინების ასაშენებლად. ეს გადაწყვეტილებაც ინსპირებულია ზრუნვით საყოველთაო-სახალხო საქმისათვის.

პარტიულმა კომიტეტებმა კვლავაც ყოველთაბამად უნდა დაუჭიროს მხარი ახეთ თოთხნობებს, დროზე შენიშნონ ყოველივე მნიშვნელოვანი, ჩოწინაკე, ახწავლონ სამეურნეო მუშაკებს სწორად ალიარებენ საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესები დარგის, საწარმოს თუ ჭალაქის მოთხოვნილებებს.

ამ საქმეში წარმატებას უზრუნველყოფს თითოეული კოლექტივის პარტიულობა ბესაძლებლობათა ცოდნა, სახელმწიფო დისციპლინის დაცვისადმი რეპერტუარების უფრო სრულად გამოყენებისადმი, ეფექტიანობით კონტროლის განხორციელება. რატომ არის, მაგალითად, ბევრ კოლეტ არც თუ იშვიათად კადრებით და ნედლეულით უზრუნველყოფილი საწარმო ვერ ასრულებს „სხვის“ შეკვეთებს ან უშებს მხოლოდ „ბელსაყრელ“ პროდუქციას? უწინარეს ყოვლისა ამიტომ, რომ ზოგიერთი ხელმძღვანელი ჩავარდნებს მუშაობაში „ობიექტურ მიზეზებს“ ამრალებს, ხოლო პარტიულმა კომიტეტებმა ადრეულ შეფასებას არ აძლევენ ასეთ ფაქტებს.

ზოგჯერ, თავიანი მშვიდი ცხოვრება რომ უზრუნველყოს, ზოგიერთი ხელმძღვანელი „სხვებს“ უმალავს წარმოების ნაკლოვანებებს, ბალისით იყენებს საშეფო დახმარებას. ზოგან იქამდეც მიდიან, რომ შემკვეთს დაკარგავენ მათივე განაცხადების ბრალეულები. თუკი, მაგალითად, ავტომობილმშენებლებს ძალზე ეჭირდებათ ძრავები, კეთილ ინებონ და თავიანთი მუშები გამოგზავნონ ძრავების ქარხანაში. არავითარ შემთხვევაში არ უნდა წავალოთ ასეთი უპასუხისმგებლობა, სხვისი მოიმედოობის განწყობილება.

პარტიული პოზიციებიდან მოქმედი უნარიანი ხელმძღვანელი არ ეშინდება მიაღწიოს დავალებათა კორექტირებას, როცა სრულად ეტყობა არის გაუფუნებული კოლექტივის შინაგანი რეზერვები. იგი არ ეშინიდება შემხვედრი ტვირთნიდვის ფაქტებს, უმაქნისი ნაწარმის ბამოშვებას, რომელიც ჩაწოლილია მაღაზიებში, წინალუდგება ბავის ოლქში ან რაიონში ახალი საწარმოს მშენებლობას, თუ ამისათვის არ არის არც შრომითი, არც მატერიალური რესურსები. ამასთანავე, ხელმძღვანელობაც სწორედ ახეთ მოწიფულ, პრინციპულ მუშაკებს უნდა მივანდოთ, კადრები ისე შევარჩიოთ, რომ ხელმძღვანელ თანამდებობებზე ხვდებოდნენ იდეურად გამოწრთობილი, კომპეტენტური ადამიანები, რომლებმაც კარგად იციან თავიანთი საქმე და ყველაფერზე მაღლა სახელმწიფო ინტერესებს აყენებენ.

სამეურნეო ხელმძღვანელების აღზრდაში, უდავოდ, უპირველესი ადგილი განეკუთვნებათ პარტიულ კომიტეტებს. საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების მუშაკები თავიანთ გადაწყვეტილებებს უნდა უფარდებდნენ საერთო საქმის ინტერესებს, გადაჭრით ებრძოდნენ კუთხურ ან ვიწროუწყებრივ მოსაზრებებს, წარმოების სპეციალისტებისაგან მოითხოვდნენ სახელმწიფო დისციპლინის ბანმტკიცებისადმი ბრძოლ-ბერ დაცვას და, უწინარეს ყოვლისა, თვითონ იძლევდნენ ეფექტურ მაგალითს. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ყოველთვის როდი ხდება ასე. ზოგჯერ ადგილობრივი ორგანოები, ხელმძღვანელობენ ან თავიანთი რეგიონის ინტერესებით ხელს უწყობენ ახამოქმედებელ ობიექტებიდან გეგმით გაუთვალისწინებელ, მაგრამ ქალაქისა ან ოლქისათვის „საპრესტიჟო“ მშენებლობებზე ადამიანების გაგზავნას, ეს იწვევს სახსრების დაქსაქსვას, დაუმთავრებელი მშენებლობის ზრდას. არ აღმოუფრინა მავნე პრაქტიკა, როცა საფოფდო ადგილები ნაწილდება პრინციპით: „ხელი ხელს ბანსო...“. ზოგჯერ ბევრადსხვა სიბაბით თავს არიდებენ საერთო-საკავშირო ფონდში ორიენტირებულ საგეგმო მიწოდებასაც. ყოველივე ეს მკაცრ პარტიულ შეფასებას იმსახურებს.

განსაკუთრებით შეუწყნარებელია ფაქტები, როცა ცალკეულ რეგიონებში არღვევენ სატრანსპორტო მარშრუტებს და არად აგდებენ ეროვნულ ზარალს, რომელსაც ეკონომიკა განიცდის; „პრავდა“ ამაზე წერდა ასეთ არასწორ მოქმედებაზე. მაგრამ კრიტიკისაგან დამალვენ ბევრნი, რომ შემკვეთს დაკარგავენ მათივე განაცხადების ბრალეულები. თუკი, მაგალითად, ავტომობილმშენებლებს ძალზე ეჭირდებათ ძრავები, კეთილ ინებონ და თავიანთი მუშები გამოგზავნონ ძრავების ქარხანაში. არავითარ შემთხვევაში არ უნდა წავალოთ ასეთი უპასუხისმგებლობა, სხვისი მოიმედოობის განწყობილება.

პარტიული პოზიციებიდან მოქმედი უნარიანი ხელმძღვანელი არ ეშინდება მიაღწიოს დავალებათა კორექტირებას, როცა სრულად ეტყობა არის გაუფუნებული კოლექტივის შინაგანი რეზერვები. იგი არ ეშინიდება შემხვედრი ტვირთნიდვის ფაქტებს, უმაქნისი ნაწარმის ბამოშვებას, რომელიც ჩაწოლილია მაღაზიებში, წინალუდგება ბავის ოლქში ან რაიონში ახალი საწარმოს მშენებლობას, თუ ამისათვის არ არის არც შრომითი, არც მატერიალური რესურსები. ამასთანავე, ხელმძღვანელობაც სწორედ ახეთ მოწიფულ, პრინციპულ მუშაკებს უნდა მივანდოთ, კადრები ისე შევარჩიოთ, რომ ხელმძღვანელ თანამდებობებზე ხვდებოდნენ იდეურად გამოწრთობილი, კომპეტენტური ადამიანები, რომლებმაც კარგად იციან თავიანთი საქმე და ყველაფერზე მაღლა სახელმწიფო ინტერესებს აყენებენ.

სამეურნეო ხელმძღვანელების აღზრდაში, უდავოდ, უპირველესი ადგილი განეკუთვნებათ პარტიულ კომიტეტებს. საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების მუშაკები თავიანთ გადაწყვეტილებებს უნდა უფარდებდნენ საერთო საქმის ინტერესებს, გადაჭრით ებრძოდნენ კუთხურ ან ვიწროუწყებრივ მოსაზრებებს, წარმოების სპეციალისტებისაგან მოითხოვდნენ სახელმწიფო დისციპლინის ბანმტკიცებისადმი ბრძოლ-ბერ დაცვას და, უწინარეს ყოვლისა, თვითონ იძლევდნენ ეფექტურ მაგალითს. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ყოველთვის როდი ხდება ასე. ზოგჯერ ადგილობრივი ორგანოები, ხელმძღვანელობენ ან თავიანთი რეგიონის ინტერესებით ხელს უწყობენ ახამოქმედებელ ობიექტებიდან გეგმით გაუთვალისწინებელ, მაგრამ ქალაქისა ან ოლქისათვის „საპრესტიჟო“ მშენებლობებზე ადამიანების გაგზავნას, ეს იწვევს სახსრების დაქსაქსვას, დაუმთავრებელი მშენებლობის ზრდას. არ აღმოუფრინა მავნე პრაქტიკა, როცა საფოფდო ადგილები ნაწილდება პრინციპით: „ხელი ხელს ბანსო...“. ზოგჯერ ბევრადსხვა სიბაბით თავს არიდებენ საერთო-საკავშირო ფონდში ორიენტირებულ საგეგმო მიწოდებასაც. ყოველივე ეს მკაცრ პარტიულ შეფასებას იმსახურებს.

განსაკუთრებით შეუწყნარებელია ფაქტები, როცა ცალკეულ რეგიონებში არღვევენ სატრანსპორტო მარშრუტებს და არად აგდებენ ეროვნულ ზარალს, რომელსაც ეკონომიკა განიცდის; „პრავდა“ ამაზე წერდა ასეთ არასწორ მოქმედებაზე. მაგრამ კრიტიკისაგან დამალვენ ბევრნი, რომ შემკვეთს დაკარგავენ მათივე განაცხადების ბრალეულები. თუკი, მაგალითად, ავტომობილმშენებლებს ძალზე ეჭირდებათ ძრავები, კეთილ ინებონ და თავიანთი მუშები გამოგზავნონ ძრავების ქარხანაში. არავითარ შემთხვევაში არ უნდა წავალოთ ასეთი უპასუხისმგებლობა, სხვისი მოიმედოობის განწყობილება.

საახალწლო ნოგათები

თბილისი

ტყავ-საგალანტერეო ფაბრიკის კოლექტივმა მხარი დაუჭირა მოსკოველთა პატრიოტულ თაოსნობას — „სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავს — 60 დამკვრელური შრომითი კვირა“! ამ დევიზით აქ თითოეულ საამქროსა და ბრიგადას შორის ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება და თვალსაჩინო წარმატებებსაც მიაღწიეს. პირველი საგალანტერეო საამქროს კოლექტივმა, რომელსაც სათავეში ლ. მაკალათია უდგას, წლიური გეგმის შესრულება კარგა ხანია უკვე უპატაკა სამშობლოს და ახლა 1982 წლის ანგარიშში შრომობს.

საწარმოში დიდი უურადღება ექცევა ნარჩენების მაქსიმალურ გამოყენების.

(„კომუნისტის“ კორ.).

ზესტაფონი

რაიონის მრეწველობამ ვადამდე, 25 დეკემბერს შეასრულა სამრეწველო პროდუქციის გამოშვების მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის გეგმა. გამოშვებულია 228.630 ათასი მანეთის პროდუქცია გეგმით გათვალისწინებული 228.623 ათასი მანეთის ნაცვლად. წლის დამლევამდე გეგმის გადამეტებით წარმოებული იქნება 3,5 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია.

შესრულებულია აგრეთვე ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების გეგმები.

(საქინფორმი).

მშენებელთა გამარჯვება

ფოთი. საჩუქარი მიიღეს საახალწლოდ რესპუბლიკის მშრომელებმა. ვადაზე ადრე ამოქმედდა და პირველი პროდუქცია გამოუშვა ოჩამჩირის კომბინირებული საკვების ქარხანამ. ამ უმნიშვნელოვანესი ობიექტის საპროექტო სიმძლავრე დღეღამეში 630 ტონაა, წელიწადში — 192 ათასი ტონა.

ამ რთული სამრეწველო კომპლექსის მშენებლობა განახორციელა საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 7 ტრესტის 41-ე მოძრავ-მექანიზებული კოლონის (უფროსი — ი. ფარცვანია, მთავარი ინჟინერი — ჯ. ძელანიძე) კოლექტივმა. ტექნოლოგიური აღჭურვილობის სამონტაჟო სამუშაოები შეასრულეს რუსეთის სფსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს არამავნიადაგიანი ზონის „ელექტროსისქვიმონტაჟის“ ტრესტის როსტოვის სამშენებლო სამონტაჟო სამართველოს სპეციალისტებმა. სპეციალურ სამონტაჟო სამუშაოებს ახორციელებდნენ აგრეთვე საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 10 ტრესტის ორგანიზაციები.

მშენებლებმა და მემონტაჟეებმა ენერგიული მუშაობით შეძლეს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის დაბადების 75-ე წლისთავისთვის ამოქმედებინათ მთელი ტექნოლოგიური კომპლექსი, რომლის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 8,7 მილიონ მანეთს შეადგენს.

მთელი აფხაზეთი ულოცავდა დეკემბრის ამ თბილ დღეს იმათ, ვინც ააგო შავი ზღვის სანაპიროზე კომბინირებული საკვების ეს გიგანტი.

მშენებელთა ამ ბრწყინვალე შრომითი გამარჯვების მისალოცად ჩამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. პატარაძე. მან ამ სასიხარულო მოვლენის აღსანიშნავ ხალხმრავალ მიტინგზე წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ პროფსაბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მისალმება კომბინატის მშენებლებისადმი. მიტინგში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ადლეიბა, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. უბილავა, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრი ი. ხარატიელი, აფხაზეთის ასსრ პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელი მუშაკები.

მიტინგზე, რომელიც გახსნა საქართველოს კომპარტიის ოჩამჩირის რაიკომის პირველმა მდივანმა კ. სალიამ, სიტყვით გამოსულებმა: მღებავთა ბრიგადის ხელმძღვანელმა ე. გოგუამ, მემონტაჟეთა უბნის უფროსმა ა. შერშუნოვმა, პოეტმა კ. ლომიამ, № 7 ტრესტის მმართველმა გ. ჯიტავამ, გაიზიარეს რა მშენებელთა შრომითი გამარჯვებით გამოწვეული საერთო სიხარული, ალაპარაკეს იმაზე, რომ თუ რა წვლილს შეიტანს ეს გიგანტური საწარმო რესპუბლიკის მეცხოველეთა მომავალ წარმატებებში.

მიტინგზე წაიკითხეს სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის მინისტრის ს. ხიტროვის მისალოცი დეპეშა კომბინატის მშენებლებისადმი.

საზეიმო მიტინგის მონაწილეებმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაუგზავნეს წერილი, რომელშიც პირობას დებენ, რომ ყველაფერს იღონებენ, რათა პირნათლად შეასრულონ ხუთწლედის მეორე წლისა და მთლიანად ხუთწლედის დავალებები.

ი. გოგეჩია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

□ □

სურათზე: ოჩამჩირის კომბინირებული საკვების ქარხნის საერთო ხედი.

ბ. სოკოლოვის ფოტო.

„ბახმაროს“ მოსკოვშიც დაამზადებენ

დღეს, ალბათ, არ არის საჭირო იმის მტკიცება, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახალხო მეურნეობაში მეორეული რესურსების მაქსიმალურ გამოყენებას, უნარიანი წარმოებას. საწარმოთა ხელმძღვანელებმა, რომლებმაც მეურნის თვალით შეხედეს ამ საქმეს, წარმატებასაც მიაღწიეს: მნიშვნელოვნად გაზარდეს პროდუქციის გამოშვება და მკვეთრად გააუმჯობესეს მისი ხარისხი.

ამ თვალსაზრისით ყურადღების ღირსია მახარაძელთა შრომითი საქმიანობაც და კერძოდ ანასეულის კვლევითი ინსტიტუტის ყოფილი პროფესორის გ. ხარებავას და ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატების მ. მამეიშვილისა და ზ. ინღლაძის მეცნიერული კვლევის შედეგები. მათ დაამტკიცეს, რომ დამალი ხარისხის ჩაისა და მისი ნარჩენებისაგან ნატურალური ჩაის კონცენტრატისა და გამამხნევებელი სასმელის — პეფსი-კოლას მიღება შეიძლებოდა.

შეცნიერებს ჩანაფიქრის განხორციელებაში პარტიის მახარაძის რაიკომი, საწარმოო გაერთიანება „საქართველოს ჩაის“ ხელმძღვანელობა და რესპუბლიკის ზემდგომი ორგანოები დაეხმარნენ: ერთი წლისა და ოთხი თვის წინათ მახარაძეში აშენდა ჩაის ნატურალური კონცენტრატების კომბინატი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ზემოხსენებული ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი მ. მამეიშვილი. მეტად ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ახალი საწარმოს ასაგებად სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი არ მოუთხოვიათ, იგი აიგო რაიონის სახსრებით, და — თანაც გათვალისწინებულ ვადაზე ადრე. კომბინატის მიერ გამოშვებული ორივე სახეობის პროდუქცია — ჩაის კონცენტრატი და პეფსი-კოლა, რომელიც „ბახმაროს“ სახელწოდებით არის ცნობილი, მოეწონა მომხმარებელს. ამას ისიც მოწმობს, რომ მახარაძელთა რეტეტით პეფსი-კოლა „ბახმაროს“ მომავალი წლიდან მოსკოვის ერთ-ერთ უალკოჰოლო სასმელების საწარმოშიც დამზადებენ. ქართული რეცეპტით გამოშვებული „ბახმარო“ შეიცავს ტანინებს, კატეჭინების კომპლექსს, კოფეინს, სხვადასხვაგვარ ვიტამინებს. ეს სასმელი ამხნევებს ადამიანს, შესანიშნავად მოქმედებს მის გუნება-განწყობილებაზე.

მართალია, საწარმო მცირე სამძღვარისაა, მაგრამ მას „დაბედებული“ აქვს ზრდა. ეს კი „ბახმაროს“ პოპულარულობამ განაპირობა, რახან იგი მომხმარებელს მოსწონს, მოდით ნუღარ გავაჭიანურებთ კომბინატის სრულ წესრიგში მოყვანას. მოვაგვაროთ მისი სასაწყობო მეურნეობა უზრუნველყოთ საწარმო საჭირო ტარითა და ტრანსპორტით.

კომბინატის კოლექტივი თავდადებით იბრძვის სახელმწიფო დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის და აღწევს კიდეც მიზანს. საკმარისია ითქვას, რომ წლის დამდეგიდან ზეგეგმითმა მოგებამ 200 ათასი მანეთი შეადგინა. კომბინატში შექმნილია და მოქმედებს სამეცნიერო-საწარმოო ლაბორატორია, რომლის კოლექტივიც პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის იღვწის. კომბინატის კოლექტივმა მხურვალედ დაუჭირა მხარი ახალ პატრიოტულ ინიციატივას „სსრ კავშირის შექმნის 60 წლის თავს — 60 დამკვრელური შრომითი კვირა“, რომელიც დიდი ოქტომბრის 64-ე წლისთავის დღესასწაულისწინა დღეებში გამოიჩინეს ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვის მოწინავე საწარმოების კოლექტივებმა. მახარაძის ჩაის ნატურალური კონცენტრატების კომბინატის მშრომელები წლის დამლევამდე დიდძალ პროდუქციას მიაწვდიან მომხმარებელს. ამისათვის კი საწარმოში ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება. აქ ერთმანეთს ეჯიბრებიან კონცენტრატებისა და „ბახმაროს“ საამქროს კოლექტივები, რომელსაც შესაბამისად სათავეში რ. ლონტი და შ. გოგელია უდგანან. მუყაითი გარჯით გამოირჩევიან ჩამომსხმელები ნ. გაგუა და რ. ბარამიძე. ისინი ყოველდღიურ დავალებას მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებენ.

საწარმოში დიდი უურადღება ექცევა ტექნიკური სიახლის დანერგვას. მომავალი წლიდან მწყობრში ჩადგება ახალი ტექნოლოგიური ხაზი, რომლის საშუალებით შესაძლებელი გახდება საათში 6 ათასი ცალი ბოთლი პეფსი-კოლას ჩამოსხმა. ეს კი საგრძნობლად გაზრდის კომბინატის მწარმოებლობის დონეს.

ლ. ქინქლაძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

კომბინირებული საკვების კომბინატი ამუშავდა

ახმეტა

„ვიმუშაოთ უფრო ეფექტიანად და ხარისხიანად“ — ასეთია ახმეტის რაიონის სოფლის მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრების დევიზი. რაიონის მევენახეებს, რომლებმაც წლეულს გეგმის გადამეტებით 3.000 ტონა ყურძენი მიიტანეს სახელმწიფო მარანში, ბეჯითი გარჯით მხარს უსწორებენ მემინდვრეები, მეცხოველეები და მებაღეშემეები.

2030 ცენტნერი მარცვლეული, 560 ცენტნერი ხორცი, 660 ცენტნერი რძე, მილიონ 467 ათასი ცალი კვერცხი, 1090 ცენტნერი მატყლი, 220 ცენტნერი აბრეშუმის პარკი. აი ის მაჩვენებლები, რომლებითაც რაიონში სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების გეგმებია გადაჭარბებული.

ამ საქმეში თავი გამოიჩინეს. ოქიოს, ზემო ხოდაშნის, ქისტაურის, მატნის, ქვემო ალვანის საბჭოთა მეურნეობების მიწათმოქმედებმა და მეცხოველეებმა. („კომუნისტის“ კორ.).



საბჭოთა ხელისუფლების წლებში სახალხო მეურნეობის მსხვილ, განვითარებად დარგად გადაიქცა ელექტროენერგეტიკა.

ჩვენს ქვეყანას მძლავრი სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი, თანამედროვე ენერგომანქანათმშენებლობა და ელექტროტექნიკური მრეწველობა აქვს.

მაღლა-მაღლა მიიწევს ამიერკავკასიის უდიდესი ელექტროსადგურის — ენგურჰესის უნიკალური თაღოვანი კაშხალი. ფართო ფრონტით გრძელდება უინვალის ჰიდროკვანძისა და ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა.

სურათებზე: ზემოთ — ენგურჰესის თაღოვანი კაშხალის მშენებლობაზე სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდშია № 10 უბნის კოლექტივი, რომელსაც ჯუმბერ შერვაშიძე (ცენტრში) ხელმძღვანელობს. დიდნაყოფიერად შრომობენ ბრიგადირები ო. სილაგაძე (მარცხნივ) და ვ. ფრუიძე; ასე გამოიყურება დღეს ენგურჰესის კაშხალი.

ი. ბოხოლელიძის ფოტო
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

დუშეთი

ავტოსატრანსპორტო საწარმოს შრომითმა კოლექტივმა მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ წელს სანაქებო შედეგებს მიაღწია. აქ თითოეული მშრომელი იღვწოდა ინისთვის, რომ წლიური გეგმა 19 დეკემბერს — ქვეყნად მშვიდობის დიდი მედროშის, ჩვენი პარტიის ლიდერის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის დაბადების 75-ე წლისთავისათვის შესრულებულიყო. კოლექტივმა პირნათლად შეძლო პირობის გამართლება. ტვირთის გადაზიდვის წლიური გეგმა 19 დეკემბრისათვის 104 პროცენტით, ტონა-კილომეტრებისა — 101 პროცენტით, მგზავრთა გადაყვანისა — 102 პროცენტით, ტაქსის ფასიანი გარბენისა — 104 პროცენტით. შემოსავლისა — 103 პროცენტით შესრულდა.

ავტოსატრანსპორტო საწარმოს მშრომელებმ წლის უკანასკნელ 3 დღეს დაზოგილი საწვავით იმუშავეს.

უ. ჩოხელი,
დუშეთის ავტოსატრანსპორტო საწარმოს დირექტორი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

ავამაღლოთ ქმედითობა, უფრო ეფექტიანობა

სრულყოფილ აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული სასოფლო და სადაბო საბჭოების შრომითი მოწყობისა და არასრულწლოვანთა საქმეების კომისიათა საქმიანობა.

უზრუნველყოფილ კონტროლის ერთიანი სისტემის შექმნა მუქთახორების გამოვლენისა და შრომაში მათი ჩაბმისათვის,—ეს არის 25 დეკემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე მიღებული დადგენილების სტრიქონები, სხდომისა, რომელმაც განიხილა ქალაქ ჭიათურაში და წალენჯიხის რაიონში მუქთახორობის წინააღმდეგ ბრძოლისა და დაუსაქმებელი შრომისუნარიანი მოსახლეობის შრომითი მოწყობის მდგომარეობა.

სხდომის მონაწილეებმა გააანალიზეს სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების დეპუტატების მუშაობა ამ მიმართულებით და ყურადღება მიაპყრეს მუქთახორობის წინააღმდეგ ბრძოლისა და იმ პირთა შრომითი მოწყობისათვის მუშაობის ორგანიზაციაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებს, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას. აღინიშნა, რომ ეს ბრძოლა უსისტემო ხასიათისაა, რის გამოც უზრუნველყოფილი არ არის ჯეროვანი კონტროლი იმათი შრომითი მოწყობისა და ადგილებზე დამკვიდრებისადმი, რომლებიც სამუშაოდ არიან გაგზავნილი. ზოგჯერ ასეთი პირნი საერთოდ არ ცხადდებიან სამუშაოზე საწარმოში ან ორგანიზაციაში, ან ეწყობიან ფორმალურად და განაგრძობენ ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას. საწარმოს და ორგანიზაციის ადმინისტრაცია კი აცნობებს ხოლმე ამას მუქთახორობის წინააღმდეგ მებრძოლ კომისიებს და შინაგან საქმეთა ორგანოებს. მაგალითად, 170 კაციდან, რომლებიც მიმდინარე წლის დამდეგიდან ჭიათურის მანგანუმის საწარმოო გაერთიანებს ახალი ითხვისის მაღაროთსამმართველოში გაიგზავნა, სხვადასხვა მიზეზით სამუშაოდან გაათავისუფლეს 35 კაცი.

პრინციპული საკითხია, რომ ეს ნაკლოვანებათა შესახებ, რომლებიც გვხვდება თავისუფლის აღკვეთის ადგილებიდან დაბრუნებულ პირთა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში ჩაბმისა და შრომითის კოლექტივებში მათი დამკვიდრებისადმი კონტროლის განხორციელების საქმეში.

პრეზიდიუმმა კონკრეტულად განსაზღვრა ჭიათურის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და წალენჯიხის რაიონული საბჭოების მუშაობაში ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებანი და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს დაავალა გაძლიეროს შინაგან საქმეთა რაიონული და საქალაქო განყოფილებების ხელმძღვანელობა, აამაღლოს მათი პასუხისმგებლობა იმ პირთა წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას. რესპუბლიკის პროკურატურას წინადადება მიეცა გაძლიეროს ხელმძღვანელობა მუქთახორობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ აღსრულული კანონმდებლობის განხორციელი შესრულებისათვის, ხოლო საქართველოს უმაღლეს სასამართლოს დაევალა მუქთახორების წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმეები განიხილოს დაწესებულ ვადებში.

სხდომაზე განიხილეს აგრეთვე ახალქალაქის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის მუშაობა მრავალშვილიანი დედების აღრიცხვისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჯილდოებზე წარდგენისათვის, სახალხო დეპუტატთა რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომში, გორის, მარნეულის, ბოლნისისა და გარდაბნის რაიონული საბჭოების. აღმასკომებში რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმიდან გადმოგზავნილი მშრომელთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობა, მთელი რიგი სხვა საკითხები, რომელთა გამო მიღებულია შესაბამისი დადგენილებანი. (საქინფორმი).

ქალაქ თბილისის ჟურნალისტთა VII კონფერენციის დელეგატთა საყურადღებოდ

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თბილისის საქალაქო ორგანიზაციის ბიურო იუწყება, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის კლუბში (ლენინის ქუჩა, 14, მე-5 სართული) **30 დეკემბერს 12 საათზე მოწვეულია ქალაქ თბილისის ჟურნალისტთა VII საქალაქო კონფერენცია.**

დელეგატების რეგისტრაცია მოხდება 29 დეკემბერს 10 საათიდან საქართველოს ჟურნალისტთა კავშირში, ხოლო 30 დეკემბერს — 10 საათიდან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის კლუბში.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თბილისის საქალაქო ორგანიზაციის ბიურო.

ვენერასაკენ ფრენა

ეროვნული კოსმოსური კავშირის ცენტრი. (საკადრო). ვრცელდება „ვენერა-13“ და „ვენერა-14“ ავტომატური სადგურების ფრენა. დაგეგმილი პროგრამის შესაბამისად, საპლანეტათშორისო ტრასებით სადგურების ფრენის პროცესში ეწყობა კოსმოსური სივრცეში მიმდინარე ფიზიკური პროცესების კომპლექსური კვლევა.

გამა-გამოსხივების კოსმოსური წყაროების ადგილმდებარეობის განსაზღვრისა და დახასიათების მიზნით გრძელდება ექსპერიმენტები საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის სამეცნიერო აპარატურის გამოყენებით. ერთდროულად ორ ავტომატურ სადგურში მიმდინარე გაზომვები საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ გამოსხივების წყაროების კოორდინატები.

მიღებული ინფორმაციის წინასწარი ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ხელსაწყოებმა აღრიცხეს ათზე მეტი გამა-თქვფანი, აგრეთვე მრავალრიცხოვანი ფფეთქება მზეზე, რომელსაც თან ახლდა გამა-გამოსხივების მძლავრი ნაკადები.

ფრენის დროს რეგულარულად ეწყობა საპლანეტათშორისო მაგნიტური ველის კვლევა ავსტრიის სპეციალისტთა მიერ შექმნილი მაგნიტომეტრების გამ

რაიონის ეკონომიკა: რა დონეზეა იგი?

ვანი: აწმყო და მომავალი

გოლო ათწლეულში სასოფლო რაიონებში ფეხს იკიდებს როგორც მრეწველობა ისე სახალხო მეურნეობის სხვა დარგებიც. საქართველოს ტერიტორიაზე მრეწველობის ასე თუ ისე თანაბრად განაწილების საკითხი ხელს უწყობს ცალკეული რაიონული ცენტრების, დაბებისა და სოფლების ეკონომიკური და სოციალური საკითხების ჰარმონიულად განვითარებას.

სასოფლო რაიონებში თბილისისა და სხვა დიდი ქალაქების მსხვილი ფაბრიკა-ქარხნების ფილიალების, ცალკეული საწარმოების შექმნა ზრდის მათ შემოსავალს, ხელს უწყობს კადრების შენარჩუნებას. რაიონების სამრეწველო საწარმოების კოლექტივები სოფლის მეურნეობის მშრომელებთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ სასურსათო პროგრამის განხორციელებაში. პროგრამის, რომელსაც ლ. ი. ბრეჟნევმა თავის მოხსენებაში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე, როგორც სამეურნეო, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით მთელი ხუთწლედის ცენტრალური პრობლემა უწოდა.

დღეიდან გაზეთი „კომუნისტი" რუბრიკით „რაიონის ეკონომიკა: რა დონეზეა იგი?" პერიოდულად გამოაქვეყნებს ეკონომიკურ მიმოხილვებს, რომლებშიც ლაპარაკი იქნება რესპუბლიკის ცალკეული რაიონების მიღწევებზეც და ნაკლოვანებებზეც. დღეს მიმოვიხილავთ ვანის რაიონის ეკონომიკას.

დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი, თვალწარმტაცი დაბა ვანი დიდი ხანია მსოფლიოს მეცნიერთა ყურადღებას იქცევს. აქაურმა არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა ნათელი მოაფინა საქართველოს უძველეს ისტორიას, მნიშვნელოვნად დაგვეზმარა შორეულ წინაპართა კულტურის შესწავლაში. ეს ყველაფერი ჭეშმარიტებაა, მაგრამ აქედან ვანის წარსულზე კი არა, მის აწმყოზე გვინდა გესაუბროთ.

საქმე ის არის, რომ ბოლო 7-8 წლის განმავლობაში დღევანდელი ვანისადმი ინტერესმა იმატა. ყურადღება მიიპყრო რაიონის ეკონომიკური მაჩვენებლების სტაბილურმა ზრდამ. ვანის რაიონი, როგორც ცნობილია, მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო რაიონი იყო. იყოო, იმიტომ ვამბობთ, რომ აქ ახლა მრეწველობაც ინტენსიურად ვითარდება. იმდენად ინტენსიურად, რომ იგი წელიწადში უკვე 18. 753 ათასი მანეთის პროდუქციას იძლევა. მეთერთმეტე ხუთწლედის დამლევისათვის ეს ციფრი თითქმის 23 მილიონ მანეთამდე გაიზრდება, რაც იმას ნიშნავს, რომ რაიონის წარმოების მთლიან მოცულობაში მრეწველობის წილი 63,6 პროცენტს მიაღწევს. მეტად საგულისხმო ფაქტია! ამიტომაც არ დავარღვევთ ეკონომიკური მიმოხილვის საერთო წესს და მრეწველობიდან დავიწყებთ.

სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი მრეწველობის კომბინატმა დაძლია ტექნიკური ხასიათის სირთულენი და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რაიონის ინსვლაში. კომბინატის კოლექტივი ახლა გეგმებს ყველა მონაცემების მიხედვით მხოლოდ გადაკარბებით ასრულებს, მაგრამ ჩვენი ცხოვრების დღევანდელ ეტაპზე მარტო ეს როდია მთავარი. ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებში დამზადებული სამშენებლო ბლოკი, ქართული ნაჯახი, თოხი, მავთულბადე და სხვა მრავალი ფართო მოხმარების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო საგანი მოსწონს მომხმარებელს. გადაწყვეტილია მეთერთმეტე ხუთწლედში გაძლიერდეს კომბინატის მაბა. მან თავისი სიტყვა უნდა თქვას სასურსათო პროგრამის განხორციელებაში, იმ პროგრამისა, რომელსაც ლ. ი. ბრეჟნევმა პრინციპული მნიშვნელობა მიანიჭა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე. სწორედ ამ მიმართულებით იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას ვანელთა მიღწევებიც.

ნათქვამი რომ ლიტონ სიტყვად არ დარჩეს, მივმართავთ ფაქტებს: თუ. 1972 წელს რაიონის შემოსავალმა სოფლის მეურნეობიდან 3 მილიონ მანეთზე ცოტა მეტი შეადგინა, შარშან ეს ციფრი 7 მილიონ 277 ათას მანეთამდე გაიზარდა. მეტად საგულისხმოა ისიც, რომ მარტო ამ ბოლო ორ წელიწადში შემოსავლის მატებამ 2 მილიონ 205 ათას მანეთს მიაღწია. მეთერთმეტე ხუთწლედის დამლევისათვის რაიონი 6.597 ათასი მანეთით მეტი ღირებულების სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს აწარმოებს.

ვანის რაიონი იმერეთის იმ მხარეთაგანია, სადაც პრაქტიკულად სოფლის მეურნეობის ყველა კულტურა ხარობს. რაიონის მრავალდარგოვან მეურნეობაში გამოკვეთილია მევენახეობა და მეგოსტნეობა. აქაური მშრომელები სახელმწიფოსათვის ყურძნის ჩაბარების გეგმას ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებენ. ტრადიციისათვის, რა თქმა უნდა, მათ არც წელს უღალატიათ, და ამ მარნებში დავალებით გათვალისწინებულზე მნიშვნელოვნად მეტი საუკეთესო ხარისხის ყურძენი მიიტანეს.

მეგოსტნეობიდან ნათესების უმეტესი ნაწილი ხახვს უკავია. სხვათა შორის, ამ მხრივ ვანის რაიონი ერთ-ერთი პირველთაგანია რესპუბლიკაში. აქ ყოველწლიურად 4 ათას ტონამდე ხახვს იწვენ. სოფლის მეურნეობის ამ კულტურით აფხაზეთისა და აჭარის კურორტები მარაგდება.

— მეხახვეობა, — გვითხრა საქართველოს კომპარტიის ვანის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. ანდრიაძემ, — ჩვენი მხარის ტრადიციული დარგია. იგი განვითარებულია, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. ამ მხრივ შესაძლებლობები არ ამოგვიწურავს. საქმე ის არის, რომ ხახვის თესვა, მისი მოვლა-მოყვანა მამაპაპური წესით ხდება, რაც, რა თქმა უნდა, აბრკოლებს ამ დარგის უფრო სწრაფი ტემპით წინსვლას. კარგი იქნება, თუ მეცნიერები და კონსტრუქტორები ყურად იღებენ ჩვენს თხოვნას და დაგვეხმარებიან მეხახვეობის მექანიზაციაში.

ჩვენი აზრით, მეხახვეობის მექანიზაციის საკითხით, არა თუ მარტო ვანის რაიონში, საერთოდ რესპუბლიკის მასშტაბით, საქართველოს სსრ მეხილეობა-მებოსტნეობის მეურნეობების სამინისტრო უნდა დაინტერესდეს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ბოლო ხანს საგრძნობლად გაიზარდა ბოსტნეულისა და სიმინდის მოსავლიანობა, მაგრამ რაიონის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მნიშვნელოვნად მეტის გაკეთება შეიძლება, საამისო რეზერვები არსებობენ. ამირეგიონში რაიონი მომავალში მკვეთრად გაზრდის მოსავლიანობას და ამას ყველა მიწის ნაკვეთის დაპროგრამებით მიაღწევენ, თითოეული ჰექტარის მაქსიმალური შესაძლებლობა მეცნიერულად დასაბუთდება. პარტიის ვანის რაიკომი მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებას სპეციალურ პლენუმს მიუძღვნის.

მრავალდარგოვან სოფლის მეურნეობაში მეცხოველეობასაც საპატიო ადგილი უჭირავს. მეცხოველეობის განვითარებისათვის რაიონის ხელმძღვანელების მიზანდასახული მუშაობა შესანიშნავ შედეგს იძლევა. ამის დასამტკიცებლად კვლავ ციფრებს მოვიშველიებთ. 1972 წელს ძროხა რაიონის მოსახლეობის 52 პროცენტს, ხოლო ღორი — 70 პროცენტს არ ჰყავდა. შარშანდელი წლის დამლევისათვის ეს მაჩვენებლები შესაბამისად 7 და 20 პროცენტით შემცირდა. არის საფუძველი ვივარაუდოთ, რომ წლეულს ეს მონაცემები დაჯამებისას უფრო სასურველი იქნება. კოოპერირების სახით სახელმწიფოსათვის პროდუქტების დამზადებას რაიონის კოლეგიურნე გლეხობა ენთუზიაზმით შეხვდა. მარტო ამ გზით მიმდინარე წელს ხოველეობის განვითარებისათვის რაიონის ხელმძღვანელების მიზანდასახული მუშაობა შესანიშნავ შედეგს იძლევა. ამის დასამტკიცებლად კვლავ ციფრებს მოვიშველიებთ. 1972 წელს ძროხა რაიონის მოსახლეობის 52 პროცენტს, ხოლო ღორი — 70 პროცენტს არ ჰყავდა. შარშანდელი წლის დამლევისათვის ეს მაჩვენებლები შესაბამისად 7 და 20 პროცენტით შემცირდა. არის საფუძველი ვივარაუდოთ, რომ წლეულს ეს მონაცემები დაჯამებისას უფრო სასურველი იქნება. კოოპერირების სახით სახელმწიფოსათვის პროდუქტების დამზადებას რაიონის კოლეგიურნე გლეხობა ენთუზიაზმით შეხვდა. მარტო ამ გზით მიმდინარე წელს ასევე დამაჯერებელია ათი და თერთმეტი თვის შედეგებიც. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა კურკოვანი ხილის, აბრეშუმის პარკის, კვერცხის დამზადების გეგმები.

პირუტყვის საკვებად განკუთვნილ კულტურებს რაიონში 1200 ჰექტარი ფართობი უჭირავს. ეს ბევრი არ არის, მაგრამ ვანელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეს პრობლემა მათ გადაწყვიტეს. საკვების დეფიციტის დაფარვაში შეიალედური კულტურების გამოყენება დაეხმარათ. შემოდგომაზე, მაგალითად, თესავენ შვრიას, მრავალწლოვან ბალახებს... ასე რომ, პირუტყვის საკვები აქაურებს სხვა რაიონებიდან ალარ შემოაქვთ.

...ვანში ნებისმიერი ქვეყნიდან ჩამოსული სტუმარი შეგიძლიათ მიიპატიჟოთ — აქ არ შეგარცხვენენ. მისი ცენტრის არქიტექტურული ანსამბლი, ხეივნები, მოვლილი ქუჩები გულგრილს არავის ტოვებს. ყველაფერში, რაც აქ აშენებულა და გაკეთებულა, სიყვარული, სითბო, გული და სულია ჩაქსოვილი. დღეს აქაურ კაცს არ აოცებს, თუ როგორ შეიძლება ერთ რაიონში ორი მაღალი დონის სახალხო თეატრი არსებობდეს და ჰყავდეთ ისეთი ჰოპულარული საესტრადო ორკესტრი, როგორიც „საჩინოა", ანდა, როგორ შეძლეს აქ ისეთი სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ჩამოყალიბება, რომელიც არაერთხელ გამხდარა ხალხური შემოქმედების დათვალიერების ლაურეატი...

ვანის რაიონის მშრომელთა წარმატებებზე ლაპარაკის გაგრძელება კიდევ შეიძლება, მაგრამ ერთ საგაზეთო წერილში ყველაფერს ვერ იტყვი, მეთერთმეტე ხუთწლედში ვანელები სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ახალი დიდი ამოცანების წინაშე დგანან და აუცილებლად გადაწყვეტენ მათ.

შ. ამაშუკელი,
„კომუნისტის" სპეც. კორ.

ანგარიშს აბარებენ რაიონალიზატორები

გაიმართა რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა საკავშირო საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პლენუმი, რომელმაც განიხილა მატერიალური და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მოძებნილ და რაციონალურად გამოყენებისათვის მოძრაობაში რესპუბლიკის გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა ჩასაბმელად საზოგადოების ორგანიზაციათა მუშაობის საკითხი.

განიხილეს აგრეთვე ორგანიზაციული საკითხი. სხვა სამეშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით პლენუმმა კაათაგისუფლა ა. ა. ლომიძე რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა საკავშირო საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან და გამოიყენა ი. პრეზიდიუმის შემადგენლობიდან.

რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა საკავშირო საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარედ და პრეზიდიუმის წევრად არჩეულია ვ. ა. ჟიდკო.

(საქინფორმი).

საპატიო ფოდების მინიჭება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით რესპუბლიკის საპარტიო ორგანიზაციებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ხორცის მრეწველობის საწარმოთა დაპატიჟების საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტის კომპლექსური საპროექტო განყოფილების უფროსს ამხ. ჯონ გაბრიელის ძე **ტურიაშვილს** მიენიჭა „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის" საპატიო წოდება.

რესპუბლიკური პროფკავშირული კონფერენციები

საქართველოში დამთავრდა დარგობრივ პროფკავშირთა რესპუბლიკური საანგარიშო-საარჩევნო კონფერენციები.

გაიმართა ამიერკავკასიის **რკინიგზის** მუშათა პროფკავშირის საანგარიშო-საარჩევნო კონფერენცია. რკინიგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის, პირველ პლენუმზე მის თავმჯდომარედ აირჩიეს **ა. ი. გომბაინიძე**, მდივნად — **ა. ს. დავიდოვი.**

კონფერენციისა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ზ. ა. ჩხეიძე.**

ავიაციის მუშაკთა პროფკავშირის კონფერენციაზე ახლად არჩეული რესპუბლიკური კომიტეტის პირველ პლენუმმა კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს **ვ. ს. ლაკაია**, მდივნად — **შ. ბ. გაჩეჩილაძე.**

კონფერენციისა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მსუბუქი და კვების მრეწველობის განყოფილების გამგე **ო. შ. ივანაშვილი.**

საზღვაო და სამდინარო ფლოტის მუშათა პროფკავშირის კონფერენციაზე არჩეული რესპუბლიკური კომიტეტის პირველ პლენუმზე ამ კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს **გ. ს. უმანაშვილი** მდივნად — **მ. ვ. ჭურმავა.**

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ახალი შემადგენლობის პირველმა პლენუმმა დარგობრივი კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩია **დ. მ. ოხელიანი**, მდივნად — **გ. ბ. ვარდოსანიძე.**

გაიმართა **კვების მრეწველობის** მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კონფერენცია. პირველ პლენუმზე რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს **კ. ი. ქრისტესიაშვილი**, მდივნად — **ე. ზ. ღორთლიშვილი.**

ელექტროსადგურებისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პირველ პლენუმზე დარგობრივი კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს **ა. ა. ჩოხელი**, მდივნად — **პ. ი. ალავიძე.**

საავტომობილო, სატრანსპორტო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პირველმა პლენუმმა ამ კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩია **ნ. ა. ხატიაშვილი**, მდივნად — **შ. კ. ლაბუანია.**

გაიმართა **ხილეულობეულის მეურნეობისა და დამზადების** მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პირველი პლენუმი. ამ კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს **ა. ა. ლომიძე**, მდივნად — **ე. გ. ხუხულია.**

(საქინფორმი).

საქდესისა და ახალი ქმგების საქმენტოს კორესპონდენტები მვეტყობინებენ

საერთაშორისო დღიური ჟურნალისტ ოვრეგა

28 დეკემბერი

მდგომარეობა პოლონეთში

ვარშავა. როგორც პოლონეთის პრესის საააგენტო იუწყება, ბევრმა პოლონელმა მუშამ გამოთქვა სურვილი იშრომოს სამშაბათ დღესასწაულის დღეებში. ნორმალურად მუშაობს, კერძოდ, უწყვეტი საწარმოო ციკლის მქონე საწარმოები, მათ შორის ქვეყნის უდიდესი ნოვა-ჰუტის ვ. ი. ლენინის სახელობის მეტალურგიული კომბინატი. დაძაბულად შრომობენ რკინიგზელები, საავტომობილო ტრანსპორტის, კომუნალური მეურნეობის მუშაკები, მთლიანად სიტუაცია ქვეყანაში ამჟამად მშვიდია.

როგორც პრესა აღნიშნავს, სპეციალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრალურმა კომისიამ განიხილა სპეკულაციასთან ბრძოლის ამოცანები, რომლებიც სამხედრო წესების პირობებიდან გამომდინარეობს. მთელ ქვეყანაში მოქმედებენ სპეკულაციასთან ბრძოლის საკოორდინაციო და ადგილობრივი კომისიები. სამოქალაქო მილიციის მთავარი კომენდატურის მონაცემებით, 13-23 დეკემბრის პერიოდში მთელ ქვეყანაში დაიწყო 427 წინასწარი გამოძიება სპეკულაციის საქმეთა გამო. მართლწესრიგის ორგანოებმა კონფისკაცია უყარეს სპეკულაციისათვის გათვალისწინებულ 38,5 მილიონი ზლოტის საქონელს და ამოიაჩინეს მყიდველებისაგან გადამალული პროდუქტები და სამრეწველო საქონელი.

პოლონეთის პრესის საააგენტო იუწყება, რომ „ზემოვიტის" შახტში ვითარების ნორმალიზაციის შემდეგ „სოლიდარობის" წევრ-ტერორისტები კვლავ ძალადაკავებენ მიწისქვეშ მეორე შახტის „პოსტის" ათასზე მეტ მაღაროელს. როგორც შახტის სამხედრო საბჭოს წარმომადგენელმა განაცხადა, კანონის შესაბამისად ამ უგუნური აქციისათვის პასუხისმგებლობა დაეკისრათ იმათ, ვინც მიმართავს ძალადობას, ვინც ტერორით აშინებს თავის თანამოსაქმე ამხანაგებს.

● ინდონეზია

პრეზიდენტის გადაწყვეტილება

ჯაკარტა. ინდონეზიის პრეზიდენტმა სუხარტომ უღმდეგი პატიმრობით შეუცვალა 15 წლის წინათ გაფოტანილი სიკვდილის განაჩენი პრემიერ-მინისტრის ყოფილ პირველ მოადგილეს, საგარეო საქმეთა მინისტრს სუბანდრიოს და სამხედრო-საჰაერო ძალების ყოფილ მინისტრ-სარდალს უმარ დანის, იუწყება ანტარას საააგენტო.

სუბანდრიო, რომელიც ახლა 67 წლისაა, და უმარ დანი (58 წლის), გასამართლეს 1966 წელს „1965 წლის 30 სექტემბერს სახელმწიფო გადატრიალების ცდაში მონაწილეობის" ბრალდებით.

ფაქტები □ მოვლენები □ კომენტარი □ გამოხმაურება

● ნიკარაგუა-ჰონდურასი

ოფიციალური პროტესტი

მანაგუა. ნიკარაგუამ ოფიციალური პროტესტი განუცხადა ჰონდურასის ხელისუფალთ იმასთან დაკავშირებით, რომ მის ტერიტორიაზე დაუსჯელად საქმიანობს გამოქცეული ათასობით სომოსელი დამსჯელი, რომლებიც ჰონდურასის ზოგიერთი სამხედრო პირის ხელშეწყობით სისხლიან დანაშაულს სჩადიან.

როგორც აღნიშნულია ნიკარაგუის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტაში, რომელიც გაეგზავნა ჰონდურასის საგარეო საქმეთა სამინისტროს, ამ ბოლო დროს მნიშვნელოვნად გააქტიურდა სომოსელთა ბანდების საქმიანობა, რომლებიც საზღვარზე გადადიან და ტერორით ემუქრებიან ნიკარაგუის სულაის დეპარტამენტის ჩრდილოეთის რაიონების მცხოვრებლებს. მარტო უკანასკნელი ოთხი კვირის მანძილზე, ნათქვამია დოკუმენტში, იქ 12 კაცი დახოცეს და 15 უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას

ბაღდადი. ერაყმა და საუდის არაბეთმა ხელი მოაწერეს საუდერაყის საზღვრის დემარკაციის ხელშეკრულებას. ბაღდადში ხელმოწერის ცერემონიაზე გამოვიდნენ ერაყის შინაგან საქმეთა მინისტრი საადუნ შაქერი და საუდის არაბეთის შინაგან საქმეთა მინისტრი ნაიფ იბნ ანდელ აზიზ ას-საუდი.

მათი ზნე-ჩვეულება

მექრთამე რეაბილიტირებულია

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტროს სავსებით გაამართლა პრეზიდენტის თანაშემწე ერლიხმანი. ეს ერლიხმანი ... ალენი და გადაწყვიტა დახუროს მისი საქმის გამოძიება.

ალენი გარეული აღმოჩნდა დიდ პოლიტიკურ სკანდალში, როცა გამოირკვა, რომ მან იაპონელი ჟურნალისტებისაგან 1000 დოლარი ქრთამი აიღო პრეზიდენტის მეუღლესთან ნენსი რეგანთან ინტერვიუს მოწყობისათვის. ამოტივტივდა სხვა ფაქტებიც, რომლებმაც გამოავლინა თეთრი სახლის ამ მაღალი თანამდებობის მოხელის ნამდვილი სახე.

საძრახისი ქცევის მხილებამ თეთრ სახლში დიდი დაბნეულობა გამოიწვია და პრეზიდენტის თანაშემწე იძულებული გახდა „ადმინისტრაციულ შვებულებაში" წასულიყო. იგი იუსტიციის სამინისტროს საბოლოო გადაწყვეტილებას ელოდა იმის თაობაზე, დანიშნავდნენ თუ არა სპეციალურ პროკურორს მისი საქციელის გამოძიებისათვის.

მაგრამ მალე ცხადი გახდა, რომ სამინისტროს მიერ წამოწყებული გამოძიების მიზანი იყო არა ალენის საეჭვო საქმიანობის გარჩევა, არამედ მისი გამართლება.

ალენი, როგორც ცნობილია, ადმინისტრაციის ერთადერთი მაღალი თანამდებობის წარმომადგენელი როდია, რომელიც გარეულია პოლიტიკურ სკანდალში. 23 დეკემბერს იუსტიციის სამინისტრომ გამოაცხადა, რომ დანიშნა სპეციალური პროკურორი შრომის მინისტრის რ. დონოვანის მოქმედების გამოძიებისათვის. მინისტრს ბრალად ედება, რომ სამშენებლო ფირმას, რომელსაც იგი მეთაურობდა ახლანდელ პოსტზე დანიშვნამდე, ურთიერთობა ჰქონდა მაფიასთან და განგსტერებს ფულს უხდიდა ტერორის საშუალებით კამპანის მუშაობა ბრძოლის ჩაბშობისათვის.

● პორტუგალია

ეცნობიან ქართულ ხელოვნებას

ლისაბონი. ქართული ხელოვნების გამოფენა გაიხსნა პორტუგალიის ქალაქ ავეირუში. აქ წარმოდგენილია კერამიკისა და ლითონის ნაწარმი, ხალიჩები, გრავიურები, ბავშვთა ნახატები. ფერადი ფოტოსურათებით მნახველები ეცნობიან საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი რესპუბლიკის მოსახლეობის ცხოვრებასა და შრომას, საქართველოს ისტორიულ ძეგლებსა და ღირსშესანიშნაობებს.

გამოფენა მოეწყო „პორტუგალია-სსრ კავშირის მეგობრობის საზოგადოების" ინიციატივით.

ფოტოინფორმაცია

დაძაბულობის შენელების ლოგუნგით

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა ამ ქვეყნის ისტორიაში ყველაზე მძლავრი მოძრაობა მშვიდობისა და განიარაღებისათვის, რომელიც „კრეფელდის მოწოდების" მომხრეთაგან ჩამოყალიბდა. დასავლეთ გერმანიის დემოკრატიული საზოგადოებრივობის ამ ცნობილ მამრთვას უკვე ხელი მოაწერა სხვადასხვა პოლიტიკური მრწამსის 1,5 მილიონზე მეტმა მოქალაქემ. ფედერაციული გერმანიის იმ პარტიების და ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც დაძაბულობის შენელების ლოზუნგით გამოდიან და გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ ილაშქრებენ, ჩავიდნენ მოძრაობის მონაწილეთა მეორე ფორუმზე დორტმუნდში (სურათზე ქვემოთ).

დორტმუნდი. „კრეფელდის მოწოდების" მომხრეებმა, რომლებიც „ვესტფალენჰალეს" დარბაზში შეიკრიბნენ, გადაჭრით გაილაშქრეს ნატოს რაკეტულ-ბირთვულ გადაწყვეტილებათა რეალიზაციის წინააღმდეგ და მოუწოდეს მშვიდობისმოყვარე ძალებს გააქტიურონ გამოსვლები.

სურათზე (ზემოთ): პრეზიდიუმის მაგიდასთან მარჯვნივ ზის გერტ ბასტიანი, გადამდგარი გენერალ-მაიორი, „კრეფელდის მოწოდების" ერთ-ერთი ინიციატორი.

საქდესის ფოტო.

მოგზაურობა და შთაბეჭდილებები

როდესაც ინდონეზიაში მოგზაურობთ, არ შეიძლება არ აღგაფრთოვანოთ პეიზაჟის ფერთა სიუხვემ, რომელიც ასე ოსტატურად და სიყვარულით გადაუტანიათ თავიანთ ტილოებზე თვითნასწავლ პრიმიტივისტ მხატვრებს, მანქანის გაჩერებისთანავე რომ გთავაზობენ თავიანთი შემოქმედების ნაყოფს.

ოდესღაც ინდონეზიის კუნძულებს სანელებლების არქიპელაგს უწოდებდნენ. ჰოლანდიელი კოლონიზატორების მიერ ქვეყნიდან გაზიდული წიწაკა, მიხაკი, პალმის ზეთი და სხვა ეგზოტიკური პროდუქცია მთელ მსოფლიოში გავრცელდა.

ინდონეზია მდიდარია წიაღისეულით. მისმა ნავთობმა, ურანმა, ქვანახშირმა ფართოდ გაითქვა სახელი მთელ მსოფლიოში. ამ წიაღისეულთა მოპოვება-დამუშავების საქმე ამერიკის შეერთებული შტატების, იაპონიისა და დასავლეთევროპული ფირმებისა და კონცერნების ხელშია. ქვეყნაში ჯერაც გადაუჭრელია ბუნებრივი სიმდიდრეების ეროვნული ინტერესების სამსახურში ჩაყენებისა და ეკონომიკის ჰარმონიული განვითარების პრობლემები.

მოსახლეობის რაოდენობით ინდონეზიას ჩინეთის, ინდოეთის, საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ მეხუთე ადგილი უკავია. მრავალფეროვანია რესპუბლიკის მოსახლეობის ენაც. ინდონეზიურის გარდა, რომელიც სახელმწიფო ენად ითვლება, ენებისა და დიალექტთა რიცხვი ათასს აღემატება, ხოლო აქ მცხოვრებ სხვადასხვა ხალხთა რიცხვი 300-ზე მეტია. მათგან განსაკუთრებით ჩინელები გამოირჩევიან. ჩინელებმა XIII საუკუნის ბოლოს დაიწყეს ინდონეზიაში ჩამოსახლება და იმთავითვე ხელი მიჰყვეს ვაჭრობას. ეთნიკური ჩინელები — ხუაციაო ინდონეზიის მოსახლეობის სამ პროცენტს შეადგენენ, მაგრამ მიუხედავად სიმცირისა, ისინი ქვეყნის ფინანსების 90 პროცენტს უწევენ კონტროლს. საქმოსანმა ხუაციაომ კორუციის გზით მჭიდრო კავშირი დაამყარა ინდონეზიის სახელმწიფო აპარატთან. მის ხელში აღმოჩნდა დიდი ბანკები, სამრეწველო საწარმოები და თითქმის ქვეყნის მთელი საშინაო ვაჭრობა.

ნავთობი ინდონეზიის მთავარი სიმდიდრეა. ყველგან— გზებსა და გზაჯვარედინებზე — თვალში გეცემათ ამერიკის გიგანტური მონოპოლიების „კალტექსის", „ტექსას ოილის", „სტანდარტ ოილ ოფ კალიფორნიის" რეკლამები. აქვეა „შელი", „ტექსაკო", „ექსონი". „კალტექსის" მონოპოლიაზე ინდონეზიის ნავთობის მოპოვების ორი მესამედი მოდის და წელიწადში 350 მილიონ ბარელს შეადგენს. „შავი ოქრო" წლიურად 10 მილიარდი დოლარის მოგებას აძლევს ქვეყანას. ნავთობიდან მიღებული შემოსავალი გაცილებით მეტი იქნებოდა, მისი ექსპორტიდან მოგებული თანხის დიდი ნაწილი ინდონეზიის ბანკების მაგივრად ამერიკის, იაპონიისა და ევროპის კაპიტალისტური ქვეყნების ბანკებში რომ არ ირიცხებოდეს. ეს კი მთავრობის მიერ 14 წლის წინათ შემუშავებული პოლიტიკის შედეგია, რომელმაც ფართოდ კაუღო კარი უცხოეთის მონოპოლიებს ინდონეზიაში და შეაჯერხა ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განვითარება. დღეს ამერიკა-იაპონიის მონოპოლიები კონტროლს უწევენ ნავთობის 90 პროცენტს, ინდონეზიის სახელმწიფო კომპანია „პერტამინეზე" კი ქვეყანაში მოპოვებული ნავთობის მხოლოდ 6 პროცენტი თუ მოდის. კონსტიტუციის მიხედვით მთელი წიაღისეული სიმდიდრე ხალხს ეკუთვნის და მის ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს. „პერტამინის" კომპანიას, რომელიც 1968 წელს დაარსდა, ქვეყნის კონსტიტუციით მინიჭებული დიდი უფლებებით უნდა სახელმწიფოს 210 ტონა რძე და 56 ტონა ხორცი მიეყიდება. რაიონის მშრომელები დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან საზოგადოებრივ სექტორში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ზრდას. შარშან 1972 წელთან შედარებით საწარმოო წვეულადობა ერთ სულ ძროხაზე 1395 კილოგრამიდან 1900 კილოგრამამდე გადიდდა. ასეთი მიღწევით იმერეთის ყველა რაიონს როდი შეუძლია მოიწონოს თავი. ყველაფერი კეთდება სასურსათო პროგრამის უფუო განხორციელებისათვის. პირუტყვი ამჟამად ამ კუთხის არასასოფლო ორგანიზაციების 30 პროცენტსა ჰყავს. რესპუბლიკის მასშტაბით კი ეს ციფრი 22 პროცენტს შეადგენს. მარტო ცხრა თვის მსჩვენებლებით აქ გეგმით გათვალისწინებული 665 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს 815 ტონა ხორცი ჩაბარდა, სახელმწიფოს მიეყიდა აგრეთვე 1600 ტონა რძე — ნავარაუდევზე 140 ტონით მეტი. ასევე დამაჯერებელია ათი და თერთმეტი თვის შედეგებიც. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა კურკოვანი ხილის, აბრეშუმის პარკის, კვერცხის დამზადების გეგმები.

პირუტყვის საკვებად განკუთვნილ კულტურებს რაიონში 1200 ჰექტარი ფართობი უჭირავს. ეს ბევრი არ არის, მაგრამ ვანელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეს პრობლემა მათ გადაწყვიტეს. საკვების დეფიციტის დაფარვაში შეიალედური კულტურების გამოყენება დაეხმარათ. შემოდგომაზე, მაგალითად, თესავენ შვრიას, მრავალწლოვან ბალახებს... ასე რომ, პირუტყვის საკვები აქაურებს სხვა რაიონებიდან ალარ შემოაქვთ.

...ვანში ნებისმიერი ქვეყნიდან ჩამოსული სტუმარი შეგიძლიათ მიიპატიჟოთ — აქ არ შეგარცხვენენ. მისი ცენტრის არქიტექტურული ანსამბლი, ხეივნები, მოვლილი ქუჩები გულგრილს არავის ტოვებს. ყველაფერში, რაც აქ აშენებულა და გაკეთებულა, სიყვარული, სითბო, გული და სულია ჩაქსოვილი. დღეს აქაურ კაცს არ აოცებს, თუ როგორ შეიძლება ერთ რაიონში ორი მაღალი დონის სახალხო თეატრი არსებობდეს და ჰყავდეთ ისეთი ჰოპულარული საესტრადო ორკესტრი, როგორიც „საჩინოა", ანდა, როგორ შეძლეს აქ ისეთი სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ჩამოყალიბება, რომელიც არაერთხელ გამხდარა ხალხური შემოქმედების დათვალიერების ლაურეატი...

ვანის რაიონის მშრომელთა წარმატებებზე ლაპარაკის გაგრძელება კიდევ შეიძლება, მაგრამ ერთ საგაზეთო წერილში ყველაფერს ვერ იტყვი, მეთერთმეტე ხუთწლედში ვანელები სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ახალი დიდი ამოცანების წინაშე დგანან და აუცილებლად გადაწყვეტენ მათ.

შ. ამაშუკელი,
„კომუნისტის" სპეც. კორ.

ინდონეზია:

მონოპოლიების მარწუხებში

მსუბუქი მრეწველობის საქონელი უდიდეს კონკურენციას უწევს ადგილობრივი ქარხნებ



ყოველი ოჯახის სტუმარი

...ასალი წლის წინ რესპუბლიკა ...ეშავს საქართველოს ტელე... ...ის 25-ე წლისთავს. საქინფო... ...ის კორესპონდენტმა სთხოვა სა... ...ველოს სსრ კავშირგაბმულო... ...ს მინისტრის მოადილეს ვ. სა... ...ბეგაშვილს მოეთხრო, თუ რო... ...ო „ვიქაცდებოდა“ დღევან... ...ელი ფუბილარი.

